ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია

1. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა წინამდებარე კითხვარისა და კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში თვითშეფასების ერთ - ერთ ინსტრუმენტს, რომლის მიზანია პროფესიული განათლების მიმართულებით ცენტრის საქმიანობის ხარისიხ გაუმჯობესება.
2. პროფესიული სტუდენტების კვლევის ამოცანაა პროფესიული სტუდენტებისაგან ინფორმაციის მოპოვება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ქვემოთ ჩამოთვლილ ცალკეული ქვესტანდარტთან თუ ინდიკატორთან მიმართებაში:
    - მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება პროფესიული სტუდენტებისათვის;
    - პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;
    - პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები;
    - სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება; პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება;
    - მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;
    - IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;
3. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგის დანართის სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით, რომელსაც შეიმუშავებს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის კოორდინატორთან ერთად უზრუნველყოფს კვლევის ჩატარებას.
4. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე პირები, წინამდებარე კითხვარით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 6 სასწავლო კვირის შემდეგ;
5. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, თითოეული პროგრამის ყველა პროფესიული სტუდენტი (ჯგუფი) ინფორმირდება კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე. კვლევა ხორციელდება ელექტრონული კითხვარის საშუალებით.
6. სავალდებულოა პროფესიული სტუდენტი ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;

7. კვლევის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი აკეთებს სტატისტიკურ ანალიზს და იდენტიფიცირებულ გასაუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით ცენტრის დირექტორს წარუდგენს კონკრეტული რეკომენდაციებს.
8. კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი საკითხების განმეორებითი შესწავლა განხორციელდება თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, მათ შორის, ფოკუს - ჯგუფებში, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით გონივრულ ვადებში.
9. წინამდებარე კითხვარი კვლევისათვის გამოიყენება მინიმუმ ერთჯერ, ხოლო იმ პროგრამაზე რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს სავალდებულოა პროგრამის დასრულებამდე ორი თვით ადრე რაოდენობრივი კვლევის განმეორება;

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების
მართვისა და
უწყვეტი განათლების ცენტრი

ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების
კვლევის მეთოდოლოგიის
დანართი №1

ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი

გამოკითხვის მიზანია ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისაგან მოპოვებული იქნას ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.
გამოკითხვა ტარდება ანონიმურად და თქვენს მიერ მოწოდებული მონაცემები გამოყენებული იქნება მისი განზოგადების მიზნით.
თქვენი გულწრფელი პასუხები დაგვეხმარება პროფესიული განათლების მიმარულებით ბსუ-ს საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

1. **სქესი:**
   - ○ მდედრობითი
   - ○ მამრობითი
2. **ასაკი:**
   ---
3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც სწავლობთ:**
   ---
4. **ეთანხმებით თუ არა ქვემოთ მოცემულ დებულებებს:**
   ○ დიახ ○ არა ○მიჭირს პასუხის გაცემა

ა) ვიცნობს ბსუ-ს მისიას ხედვა და ღირებულებებს
ბ) ვიცნობ პროფესიული სტუდენტების უფლებებს;
გ) ვიცნობ პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემას;
დ) ვიცი, რომ საჭიროების შემთხვევაში შემიძლია შეფასების შედეგების გასაჩივრება;
ე) გამომიყენებია შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლებ.ა

5. გთხოვთ, მონიშნეთ გზები, რომელთა გამოყენებითაც დაწესებულებამ მოგაწოდათ ინფორმაცია თქვენი უფლებების შესახებ (შეგიძლიათ მონიშნოთ 1-ზე მეტი პასუხი)
ა) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მუდმივად გვიწევენ კონსულტაციასა და მხარდაჭერას;
ბ) პროფესიული მასწავლებლები მუდმივად გვიწევენ კონსულტაციასა და მხარდაჭერას;
გ) პერიოდულად იმართება ჯგუფური შეხვედრები ჩვენს აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით;

დ) დაწესებულების ადმინისტრაცია/პროფესიული განათლების მასწავლებლები მზად არიან ნებისმიერ დროს გაგვიწიონ ინდივიდუალური კონსულტაცია სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;
ე) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების დროს მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში ატარებს დამატებით ინსტრუქტაჟს;
ვ) პროფესიული განათლების მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში გვაძლევს/გვიზიარებს დამატებით სასწავლო რესურსს;
ზ) ----------

6. გთხოვთ შეაფასეთ სასწავლო პროცესის განმავლობაში მიღებული კონსულტაცია და მხარდაჭერა

○ ვეთანხმები ○ არ ვეთანხმები ○ნაწილობრივ ვეთანხმები

ა) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მუდმივად გვიწევენ კონსულტაციასა და მხარდაჭერას
ბ) პროფესიული მასწავლებლები მუდმივად გვიწევენ კონსულტაციასა და მხარდაჭერას
გ) პერიოდულად იმართება ჯგუფური შეხვედრები ჩვენს აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით
დ) დაწესებულების ადმინისტრაცია/პროფესიული განათლების მასწავლებლები მზად არიან ნებისმიერ დროს გაგვიწიონ ინდივიდუალური კონსულტაცია სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით
ე) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების დროს მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში ატარებს დამატებით ინსტრუქტაჟს
ვ) პროფესიული განათლების მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში გვაძლევს/გვიზიარებს დამატებით სასწავლო რესურსს

7.როგორ დაგეხმარათ დაწესებულება სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში? (შეგიძლიათ მონიშნოთ 1-ზე მეტი პასუხი)

- ○ გაიმართა გაცნობითი სახის შეხვედრები ადმინისტრაციასთან
- ○ გაიმართა გაცნობითი სახის შეხვედრები ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ცენტრთან
- ○ გაიმართა გაცნობითი სახის შეხვედრები ბსუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობასთან
- ○ გაიმართა გაცნობითი სახის შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ○ პრაქტიკის დაწყების წინ შედგა გაცნობითი ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე

8.დაწესებულება გონივრულ ვადაში გვიწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას (ცნობების გაცემა, განცხადების დამუშავება და სხვ)

- ○ დიახ
- ○ არა
- ○ ნაწილობრივ

9. დაწესებულების მხრიდან ინფორმირებული ვარ იმის შესახებ, რომ შემიძლია ჩავერთო სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებში (სპორტული კლუბი, ცეკვა, პროექტები, კონკურსები და ა.შ.)

- დიახ
- არა

10. დაწესებულება პირისპირ შეხვედრების ან/და სოც. ქსელების საშუალებით გვატყობინებს სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების შესახებ

- დიახ
- არა

11. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია:

- სრულიად
- ნაწილობრივ
- არ არის ხელმისაწვდომი

12. ადმინისტრაციის დახმარებით ჩართულები ვართ დასაქმების ფორუმებში და ვიღებთ ინფორმაციას სხვადასხვა ვაკანსიების შესახებ

- დიახ
- არა

13. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით?

○სრულიად ○ნაწილობრივ ○არა ○მიჭირს პასუხის გაცემა

ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი სამართლიანად აფასებს ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოს

ბ) სტუდენტები ინფორმირებული არიან შეფასების ჩატარების დროსთან დაკავშირებით

გ) სტუდენტები ინფორმირებული არიან შეფასების ჩატარების პირობებთან დაკავშირებით

დ) მასწავლებელი გვიხსნის რა არის ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები

ე) ჩემთვის სრულიად გასაგებია, როგორ/რა კრიტერიუმების მიხედვით მაფასებს მასწავლებელი

14. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს დაწესებულების სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით?

○სრულიად ○ნაწილობრივ ○არა ○მიჭირს პასუხის გაცემა

ა) დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია

ბ) დაწესებულების ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

გ) შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

დ) ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია

ე) კომპიუტერული მოწყობილობები გამართულად მუშაობს

ვ) დაწესებულებაში ინტერნეტი ხელმისაწვდომია

15. დაწესებულების სოციალური ქსელით ვეცნობი ინფორმაციას/ღონისძიებებს სიახლეების შესახებ

- დიახ
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა

16. გთხოვთ, რეკომენდაციის სახით დაწეროთ რის გაუმჯობესებას ისურვებდით.